

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ.ვანი

9 იანვარი 2018 წელი

12:00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ბარამიძე.

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე, გია ოჩხიკიძე.

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** შოთა გიორგაძე, თამთა დვალიშვილი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე, თორნიკე ერისთავი.

დასწრების ფურცელი თან ერთვის /დანართი N1/.

სხდომა 12: 00 საათზე გახსნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ტარიელ ბარამიძემ, რომელმაც დასამტკიცებლად წარადგინა სხდომის

### დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/ მომხს: ვანო მამფორია/

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ზვიად კაპანაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ტარიელ ბარამიძე/

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

დანართი N 2

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ივანე მამფორია, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ დადგენილების პროექტის თანახმად, 2017 წლის გარდამავალი ნაშთის ბიუჯეტში ასახვის შედეგად, რომელიც მიიმართება იმავე დანიშნულებით, ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი იზრდება 2857,7 ათასი ლარით, საიდანაც: 2644, 4 ათასი ლარი წარმოადგენს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების, ხოლო 213,3 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ნაშთს. მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთს შეადგენს: ა) N2712, 27. 12. 2017 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოთ გამოყოფილი თანხები 2000,0 ათასი ლარის ოდენობით; ბ) N1409, 18.07.2016 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოთ გამოყოფილი თანხების ნაშთი 178,5 ათასი ლარის; გ) N480, 14.03.2017 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ნაშთი 142,7 ათას ლარის (სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მშენებლობა 122,8 ათასი ლარი). დ) N1401, 06.07.2017 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ნაშთი 256,3 ათას ლარის. (ქ.ვანში 26 მაისის და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე, თავისუფლების ქუჩაზე ეპარქიის მიმდებარედ და ცენტრალური მოედნის ჩრდილოეთით სკვერების რეაბილიტაცია). ე) N39, 20.01.2015 განკარგულებით გამოყოფილი ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის საგარანტიო თანხის ნაშთი 5.9 ათას ლარს. ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ნაშთი 5.9 ათას ლარის. ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ნაშთი 61.0 ათას ლარის ოდენობით.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილ საკითხზე უფრო დეტალურად ვიმსჯელებთ საკრებულოს სხდომაზე.

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 1 (გია ოჩხიკიძე)

/ დანართი N3/

დღის წესრიგის მეორე პროექტთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განკარგულების პროექტები სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ :

1. ახალშობილთა ოჯახებისათვის დახმარება
2. დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება
3. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარება
4. მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება
5. მეორე მსოფლიო ომის, ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის და 9 აპრილს დაზარალებულთათვის დახმარება
6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა
7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება
8. პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის დახმარება
9. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება
10. სამედიცინო დახმარება
11. სარიტუალო დახმარება
12. სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარება
13. სტიქიით დაზარალებულთა დახმარება
14. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარება.

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი სოციალური პროგრამების პაკეტი და მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

/ დანართი N4/

მესამე საკითხად მომხსენებელმა ბ.ნ ტარიელ ბარამიძემ კომისიის წევრებს წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმა დასამტკიცებლად:

## იანვარი

1. კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა დამტკიცება.
2. 2018 წლის სოციალური პროგრამების განხილვა.

## თებერვალი

ვანუს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის 2017 წლის ანგარიშის მოსმენა.

## მარტი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.
2. ა (ა) იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიში 2017 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს კომისიის თავმჯდომარის წარმოდგენილ 2018 წლის სამუშაო გეგმას, აღნიშნული საკითხი მზად არის გავიდეს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

/დანართი N 5/

საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ტარიელ ბარამიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე